

ექსპორტის გზამკვლევი



REAP

გაყინული ხილი და ბოსტნეული
ევროპის ბაზარზე



CBI-ის ბაზრის საინფორმაციო პორტალი

CBI (განვითარებადი ქვეყნებიდან ევროპაში იმპორტის ხელშეწყობის ცენტრი) წარმოადგენს ნიდერლანდების სამეწარმეო სააგენტოს ნაწილს. CBI-ის ბაზრის საინფორმაციო პორტალზე განთავსებული მასალა დიდი გულისყურით შემუშავდა, თუმცა CBI და პუბლიკაციების ავტორები არ არიან პასუხისმგებელი პორტალზე გამოქვეყნებული ინფორმაციის გამოყენების შედეგებზე. პორტალზე განთავსებულ ინფორმაციას არა აქვს იურიდიული ძალა. ამდენად, საჭიროების შემთხვევაში, უნდა დავეყრდნოთ შესაბამის წყარო-დოკუმენტებს. მონოდებული ინფორმაცია მკითხველს არ ათავისუფლებს შესაბამისი საკანონმდებლო, მარეგულირებელი ან/და სამართლებრივი მოთხოვნების და მათში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინების ვალდებულებისგან. ბაზრის საინფორმაციო პორტალის მიზანია CBI-ის სამიზნე ჯგუფის - განვითარებად ქვეყნებში ექსპორტირებისა და ბიზნესის მხარდამჭერი ორგანიზაციების (BSO) - დახმარება. ცენტრი ინფორმაციას აქვეყნებს არავომერციული მიზნით.

USAID/REAP პროექტმა, CBI-სთან შეთანხმებით თარგმნა ექსპორტის გამკვლევეების წინამდებარე სერია ქართულ ენაზე და მოახდინა მათი ადაპტირება საქართველოს რეალობასთან. (თაფლის ექსპორტის გამკვლევი მომზადებულია USAID/REAP პროექტის მიერ).

ნაშრომში გამოთქმული შეხედულებები ეკუთვნის ავტორს და არ გამოხატავს აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა და აშშ-ს მთავრობის შეხედულებებს.

სერიაში შედის 9 გამკვლევი, რომლებიც მიმოიხილავს ქვემოჩამოთვლილ პროდუქციას ევროპის ბაზარზე გაყიდვის შესაძლებლობის კუთხით:

- ▶ **კენკრა**
- ▶ **ჩაი**
- ▶ **ცოცხალი მწვანელი**
- ▶ **ბაყინული ხილი და ბოსტნული**
- ▶ **ხმელი პალაუროვანი სანელებლები**
- ▶ **სტავი**
- ▶ **დაჟუსტებული და დაფუჭი სანელებლები და გამხმარი მწვანელი**
- ▶ **თაფლი**
- ▶ **თხილი და ჩირი**

გაყინული ხილი და ბოსტნეული ეპროკის ბაზარზე

მზარდი მოთხოვნა გაყინულ ხილსა და ბოსტნეულზე განპირობებულია მომხმარებელთა სურვილით, შეიძინონ ისეთი საკვები, რომელიც სწრაფად მზადდება და უფრო მოსახერხებელია მოხმარებისთვის. ევროკავშირი წარმოადგენს გაყინული ხილისა და ბოსტნეულის უმსხვილეს ბაზარს მსოფლიოში, სადაც თავს იყრის გლობალურად იმპორტირებული პროდუქციის 50%. მსხვილი იმპორტიორი ქვეყნების, როგორცაა გერმანია, საფრანგეთი, ბელგია და გაერთიანებული სამეფო, მაღალმოთხოვნადი ბაზარი დიდ შესაძლებლობებს სთავაზობს განვითარებადი ქვეყნების ექსპორტიორ კომპანიებს.

1 პროდუქტის აღწერა

გაყინული ხილი და ბოსტნეული ისეთ პროდუქტთა კატეგორიას განეკუთვნება, რომელიც მზადდება ახალი, სუფთა, სალი და მწიფე ხილისა და ბოსტნეულის გაყინვით. პროდუქტის ტიპის მიხედვით, დამზადების პროცესი, გაყინვის გარდა, შესაძლოა მოიცავდეს ისეთ ოპერაციებს, როგორცაა, წინასწარი გარეცხვა, ზედაპირის დამუშავება, სორტირება, ბლანშირება / ენზიმების დეაქტივაცია და სხვა.

უშუალოდ გაყინვის ოპერაცია უნდა განხორციელდეს ისეთი ტექნოლოგიის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მთლიანი პროდუქტის სწრაფ გაყინვას ზედაპირიდან შუაგულამდე. სწრაფი გაყინვის ოპერაცია დასრულებულად ითვლება, როდესაც ტემპერატურა პროდუქტის შუაგულში აღწევს -180 C-ს.

სწრაფი გაყინვით დაგზავადი პროდუქტი შესაძლოა წარმოდგინდეს იყოს შემდეგი სახით:

- ▶ მთლიანობა-შენარჩუნებული თავისუფალ ნაკადში (ინდივიდუალური სწრაფი გაყინვის ტექნოლოგიის (IQF) გამოყენებით)
- ▶ არა თავისუფალ ნაკადში (ბრიკეტის ფორმით)
- ▶ დაქუცმაცებული / დანნეხილი (ხილის წვენი)
- ▶ დაჭრილი სხვადასხვა ფორმის ნაჭრებად
- ▶ კომბინირებული (სხვადასხვა სახის კომბინაცია)

ხილისა და ბოსტნეულის გაყინვის ოპერაციის გამოყენებისას დაშვებულია ისეთი ინგრედიენტების გამოყენება, რომორიცაა:

- ▶ მარილი (ნატრიუმის ქლორიდი)
- ▶ შაქარი (საქაროზა, ინვერტული შაქარი, ინვერტული შაქრის სიროფი, დექსტროზა, ფრუქტოზა, გლუკოზის სიროფი ან ნახშირწყლის ფხვნილი, საკვები ზეთი)
- ▶ არომატული ბალახეული
- ▶ სხვადასხვა სახის ბოსტნეულის ნახარში ან წვენი
- ▶ 10 % ტენიანობამდე დანნეხილი ბოსტნეული

წინამდებარე დოკუმენტი იძლევა ზოგად ინფორმაციას გაყინული ხილისა და ბოსტნეულის ბაზრის შესახებ ევროპაში, რაც წარმოადგენს ინტერესის საგანს განვითარებადი ქვეყნების მწარმოებლებისთვის. ცხრილ 1-ში მოცემულია იმ პროდუქტების ჩამონათვალი და სასაქონლო კოდები, რომელსაც მოიცავს აღნიშნული კვლევა.

კომბინირებული ნომენკლატურის კოდი	პროდუქტის აღწერა
081110 (და შესაბამისი რვანიშნა კოდი)	გაყინული მარწყვი, ჟოლო, მაცვალი, თუთა
081120 (და შესაბამისი რვანიშნა კოდი)	წითელი მაცვალი, შავი, თეთრი ან წითელი მოცხარი და ხურტკმელი
081190 (და შესაბამისი რვანიშნა კოდი)	სხვა გაყინული ხილი
0710 (და შესაბამისი რვანიშნა კოდი)	გაყინული ბოსტნეული



1. გაყინული კენკროვანი კულტურების მიქსი
2. სხვადასხვა სახის გაყინული ბოსტნეულის მიქსი
3. ნაჭრებად წარმოდგენილი გაყინული მანგო
4. ბრიკეტებად (კუბის ფორმით) წარმოდგენილი გაყინული ისპანახი

პროდუქტის სპეციფიკაცია ხარისხი

ხარისხთან შესაბამისობის კუთხით, გაყინული ხილისა და ბოსტნეულის მიმართ დადგენილია შემდეგი ძირითადი მოთხოვნები:

- ▶ პროდუქტი უნდა იყოს დაუზიანებელი, ჰქონდეს ერთგვაროვანი შეფერილობა, შესაბამებოდეს კონკრეტული სახეობითა და ჯიშით განსაზღვრულ სპეციფიკაციას
- ▶ პროდუქტი უნდა იყოს სუფთა, სალი და მასში არ უნდა იყოს უცხო საგანი
- ▶ პროდუქტს არ უნდა ჰქონდეს უჩვეულო, არაღამახასიათებელი გემო და სურნელი
- ▶ თავისუფალი ნაკადის ფორმით წარმოდგენილი პროდუქტი არ უნდა იყოს ერთმანეთთან შეერთებული

- ▶ არ უნდა შეიცავდეს არაშეფერილ ერთეულს დასაშვებ ზღვარზე მეტი ოდენობით
- ▶ დაფასოებულ პროდუქტს უნდა ჰქონდეს შესაბამისი ჯიშისთვის დამახასიათებელი ფორმა
- ▶ კენკროვანი პროდუქტი არ უნდა შეიცავდეს მთლიანობა-დაკარგულ მარცვლებს დაშვებულ ზღვარს ზევით

ხარისხის დამატებითი მოთხოვნები მყიდველის მხრიდან:

მნიშვნელოვანი ხარისხობრივი მაჩვენებელი ისეთი გაყინული ხილის მიმართ, რომელიც შესაძლოა დაეყვემდებაროს შემდგომ დამუშავებას, არის OBx - ბრიქსის დონე (შაქრის შემცველობა წყლის ხსნარში).

გაყინული ბოსტნეულისთვის (სტაფილო, სიმინდის ტარო, პრასი, სიმინდის მარცვლები), დამატებითი ხარისხობრივი სპეციფიკაცია, სორტირების/დაკალიბრების, დანაწევრების

მეთოდის, დეფექტების და დასაშვები ნორმების თვალსაზრისით, განსაზღვრულია საკვები პროდუქტების საერთაშორისო სტანდარტებით (Codex Alimentarius).

გარდა აღნიშნულისა, ცალკე სტანდარტებია განსაზღვრული შემდეგი პროდუქტისთვის:

- ▶ ბარდა ▶ ყვავილოვანი კომბოსტო
- ▶ ისპანახი ▶ ბრუსელის კომბოსტო
- ▶ ბროკოლი ▶ მწვანე და ყვითელი პარკოსნები

ასევე, სპეციალური სტანდარტებია განსაზღვრული ხილის შემდეგი სახეობებისთვის:

- ▶ მარწყვი ▶ მოცვი (ევროპული სახეობის)
- ▶ ჟოლო ▶ ლურჯი მოცვი
- ▶ ატამი

ვიკაჟირება


Codex Alimentarius-ის სტანდარტების და დაგროვილი პრაქტიკის შესაბამისად, საკვები პროდუქტის ეტიკეტზე მითითებული ინფორმაცია უნდა მოიცავდეს:

- ▶ ხილის ან ბოსტნეულის დასახელებას
- ▶ სიტყვას „სწრაფად გაყინული“ ან „გაყინული“
- ▶ გამოყენებული ინგრედიენტის დასახელებას (მაგალითად შაქარი, მარილი, სანელებლები და ა.შ.)
- ▶ დამზადების/გაყინვის წესს (მაგალითად, ინდივიდუალური სწრაფი გაყინვის ტექნოლოგია (IQF); ბრიკეტის ფორმით, არათავისუფალ ნაკადში; დაქუცმაცებული/დანწეხილი; დაკალიბრებული/დაკალიბრების გარეშე)
- ▶ დაჭრის მეთოდს, საჭიროების შემთხვევაში (მაგალითად, კუბებად დაჭრილი, შუაზე გაჭრილი, სიგრძეზე დაჭრილი, დეკორატიულად დაჭრილი, რგოლებად დაჭრილი, დაქუცმაცებული, და ა.შ.)

იმ შემთხვევაში, როდესაც გაყინული ხილი და ბოსტნეული დაფასოებულია მოთხოვნილი წონის მიხედვით, ზემოთაღნიშნული საგალდებულო ინფორმაცია უნდა განთავსდეს კონტეინერზე ან მითითებული უნდა იყოს თანმხლებ დოკუმენტაციაში. თუმცა, პროდუქტის დასახელება, მწარმოებლის ან შემფუთველის დასახელება და მისამართი აუცილებლად უნდა იყოს მითითებული კონტეინერზე.

მიღებული პრაქტიკის შესაბამისად, გარდა ხილის ან ბოსტნეულის სახეობისა, პროდუქტის სპეციფიკაციაში მითითებული უნდა იყოს ჯიში და მოსავლის მიღების წელი.

სურათი 5: საბრანსპორტო მარკირების ნიმუში



წყარო: ინტეგრირებული ბიზნესკომუნიკაციების ალიანსი

სურათი 6: საცალო შეფუთვაზე ალერგენების შესახებ ინფორმაციის მითითების ნიმუში

ქველი ვერსია

ინგრედიენტები: წყალი, სტაფილო, ხახვი, წითელი ოსპი (4,5%), ვარტოფილი, ყვავილოვანი კომბოსტო, პრასი, ბარდა, სიმინდის ფქვილი, ხორბლის ფქვილი, მარილი, ნაღები, საფუარის ექსტრაქტი, პომიდვრის პასტა, კონცენტრირებული, ნიორი, შაქარი, ნიახურის თესლი, მცენარეული მეთი, მწვანილი და სანელებლები, თეთრი წინავა, ოხრახუში.

ახალი ვერსია

ინგრედიენტები: წყალი, სტაფილო, ხახვი, წითელი ოსპი (4,5%), ვარტოფილი, ყვავილოვანი კომბოსტო, პრასი, ბარდა, სიმინდის ფქვილი, ხორბლის ფქვილი, მარილი, ნაღები, საფუარის ექსტრაქტი, პომიდვრის პასტა, კონცენტრირებული, ნიორი, შაქარი, ნიახურის თესლი, მცენარეული მეთი (მხესუმირა), მწვანილი და სანელებლები, თეთრი წინავა, ოხრახუში.

წყარო: QuickLabel Systems

შეფუთვა

გაყინული ხილის და ბოსტნეულის შეფუთვის ყველაზე გავრცელებული სახეობაა პოლიეთილენის პარკები და ქაღალდის მრავალჯერადი თხელი ფენისგან დამზადებული მუყაოს ყუთები. ეს უკანასკნელი განთავსდება EURO პალეტზე (80 x 120 სმ), რომელზეც გადაკრულია პოლიეთილენის ფირი. მუყაო საკმარისად გამძლე უნდა იყოს, რომ არ მოხდეს დეფორმაცია პალეტზე განთავსებული ტვირთის შემოქმედებით ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში. მუყაოს ყუთები იკვრება სპეციალური ლენტით. შეფუთვის გაბარიტები შესაძლოა შეიცვალოს მყიდველის მოთხოვნის შესაბამისად.

გაყინული ხილის და ბოსტნეულის საცალო შეფუთვის სახეობებია: პოლიეთილენის პარკი, მუყაოს ყუთი, პლასტმასის კონტეინერი და ფოლგის პარკი.

ვეროპის როგორი ქვეყნები სთავაზობენ შესაძლებლობებს გაყინული ხილის და ბოსტნეულის ექსპორტიორებს ?

ვეროკავშირის ბაზარზე გაყინული ხილის და ბოსტნეულის ექსპორტის ფართო შესაძლებლობებს იძლევა გერმანია, საფრანგეთი, ბელგია და გაერთიანებული სამეფო. გერმანია გაყინული ხილის ყველაზე მსხვილი იმპორტიორია ვეროპის ბაზარზე, ხოლო გაყინული ბოსტნეულის ექსპორტის მხრივ ლიდერობს საფრანგეთი. ექსპორტის მზარდი შესაძლებლობები ჩნდება ასევე ცენტრალური და აღმოსავლეთ ვეროპის ქვეყნების და ისლანდიის ბაზრებზე, მზარდი მოთხოვნით გამოირჩევა გაყინული კენკრის პროდუქტები.


იპორტი

გაყინული ხილის და ბოსტნეულის იმპორტი ხასიათდება მრდით.

- ▶ 2011 წლიდან ვეროპის ქვეყნებში გაყინული ხილისა და ბოსტნეულის იმპორტის ღირებულება 3 %-ით, ხოლო რაოდენობა 1 %-ით გაიზარდა, და შესაბამისად მიაღწია 4.9 მლრდ. ევროს და 4.2 მლნ. ტონას 2015 წელს.
- ▶ მოცულობასთან შედარებით უფრო სწრაფად იზრდება ღირებულება. ამას განაპირობებს გაზრდილი ფასი კენკრაზე, რასაც თავის მხრივ განსაზღვრავს უკანასკნელ წლებში დაფიქსირებული მოთხოვნა, რომელიც მცირედად ჭარბობს მიწოდებას.
- ▶ პროდუქტის მოცულობის თვალსაზრისით, მხოლოდ ვეროპის შიდა ბაზარზე განხორციელებული იმპორტი გაზრდილია ბოლო ხუთი წლის განმავლობაში. განვითარებადი ქვეყნებიდან გაყინული ხილისა და ბოსტნეულის იმპორტი თითქმის 4 %-ითაა შემცირებული. თუმცა, ამის მიზეზი არის არა მოთხოვნის შემცირება, არამედ პროდუქციის არასტაბილური წარმოება და არასტაბილური მიწოდება განვითარებადი ქვეყნების მხრიდან.
- ▶ მოსალოდნელია, რომ უახლოეს წლებში ვეროკავშირის ბაზარზე გაიზრდება გაყინული ხილის და ბოსტნეულის, განსაკუთრებით, გაყინული ხილის იმპორტი. ამ მრდას განაპირობებს სულ უფრო მზარდი მოთხოვნა გაყინულ კენკრაზე, რომელიც თავის მხრივ სულ უფრო მეტად გამოიყენება როგორც ერთ-ერთი ინგრედიენტი ხილის გადამამუშავებელ ინდუსტრიაში, და ასევე, ოჯახურ კულინარიაში. განვითარებადი ქვეყნების

ექსპორტიორებს შეუძლიათ გამოიყენონ ეს შესაძლებლობა და შეიმუშაონ კენკროვანი კულტურების წარმოების მრდის სტრატეგია.

დიაგრამა 1. გაყინული ხილის და ბოსტნეულის იმპორტი ევროპის ბაზარზე წარმოშობის ქვეყნების მიხედვით (ათასი ტონა)



წყარო: Eurostat


გერმანია გაყინული ხილის და ბოსტნეულის ყველაზე მსხვილი იმპორტიორია.

- ▶ ევროპის ბაზარი გაჯერებულია იმპორტირებული პროდუქციით. სამი მსხვილი იმპორტიორი ქვეყნის (გერმანია, საფრანგეთი და გაერთიანებული სამეფო) მიერ განხორციელებული ექსპორტი, ევროპის ბაზარზე მთლიანი იმპორტირებული პროდუქციის ნახევარზე მეტს შეადგენს.
- ▶ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში იმპორტის მრდის ყველაზე მაღალი რაოდენობრივი მაჩვენებლით გამოირჩევა ლიტვა (13%), ხორვატია (8%) და ირლანდია (7%).

უკანასკნელ წლებში სულ უფრო პოპულარული ხდება გაყინული კენკროვანი კულტურები.

- ▶ იმპორტირებული გაყინული ხილისა და ბოსტნეულის მთლიან რაოდენობაში ყველაზე დიდი წილი მოდის კონსერვირებულ, გაყინულ კარტოფილზე (30%), მას მოსდევს სხვადასხვა სახის გაყინული ბოსტნეული (20%, ამ კატეგორიაში დომინირებს გაყინული ბროკოლი და გაყინული ყაბაყი) და გაყინული ხილი (13%, ამ კატეგორიაში ლიდერობს გაყინული კენკრა).
- ▶ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში იმპორტის მრდის ყველაზე მაღალი მაჩვენებლით, ღირებულებით გამოსახულებაში, ხასიათდებოდა გაყინული კენკრა (4%). ტრადიციულად, იმპორტირებული გაყინული კენკრის ყველაზე დიდი ოდენობა მოდის სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებსა და პოლონეთზე, თუმცა, სახეზეა გაყინული ხილის წარმოების მდგრადი მრდა სხვა განვითარებად ქვეყნებში, როგორცაა სამხრეთ ამერიკის ქვეყნები, ჩინეთი და მექსიკა.

დიაგრამა 2: გაყინული ხილის და ბოსტნეულის იმპორტი ევროპის ბაზარზე ქვეყნების მიხედვით, წილი იმპორტირებული გაყინული ხილის და ბოსტნეულის მთლიან ოდენობაში (2015)




წყარო: Eurostat

ევროპის ბაზარზე გაყინული ხილისა და ბოსტნეულის იმპორტი ძირითადად შიდა ბაზარზე, ანუ ევროპის ქვეყნებიდან ხორციელდება.

- ▶ ბელგია, პოლონეთი და ჰოლანდია არიან გაყინული ხილისა და ბოსტნეულის მთავარი მიმწოდებლები ევროპის ბაზარზე.
- ▶ განვითარებული ქვეყნების კატეგორიიდან, ევროპის ბაზარზე გაყინული ხილისა და ბოსტნეულის მიწოდების ზრდის ყველაზე მაღალი მაჩვენებლით, ღირებულებით გამოსახულებაში, გამოირჩევა ინდოეთი (19 % ზრდა, რომელშიც დომინირებს გაყინული ხილის წილი). ასევე მნიშვნელოვნად მზარდი მიწოდებით ხასიათდება მაროკო (7 % ზრდა, რომლის უდიდესი წილი მოდის გაყინულ მარწყვზე) და სერბეთი (7% ზრდა, ძირითადად ჟოლოსა და მაცვლის მიწოდება).

დიაგრამა 3: გაყინული ხილისა და ბოსტნეულის მთავარი მიმწოდებლები ევროპის ბაზარზე (2011-2015)



წყარო: Eurostat

რეკომენდაცია:

თქვენი პროდუქტის ექსპორტის გაფართოებისთვის, მიზნად უნდა დაისახოს არა მხოლოდ ევროპის მსხვილ იმპორტიორებთან დაკავშირება, არამედ უნდა განიხილოს ექსპორტის შესაძლებლობები მზარდი იმპორტის ქვეყნებში, როგორცაა, ლიტვა, ხორვატია და ირლანდია.


სასურველია გაცნობთ ისეთი განვითარებადი ქვეყნების გამოცდილებას, რომლებიც გამოირჩევიან მზარდი წილით ევროპის ბაზარზე იმპორტირებულ პროდუქციაში, მაგალითად, ინდოეთი, მაროკო და სერბეთი.

ექსპორტი

სულ უფრო იზრდება ევროპის ქვეყნებიდან გაყინული ხილისა და ბოსტნეულის ექსპორტი.

- ▶ 2011 წლიდან, ევროკავშირის ქვეყნებიდან ექსპორტირებული გაყინული ხილისა და ბოსტნეულის ღირებულება გაიზარდა 4.4% -ით, ხოლო მოცულობა - 3.6 % -ით. 2015 წელს ევროპიდან ექსპორტირებული ხილისა და ბოსტნეულის საერთო ღირებულებამ შეადგინა 4.5 მლნ ევრო, ხოლო რაოდენობამ 4.3 მლნ ტონა.
- ▶ ევროპიდან ექსპორტირებულ პროდუქციაში ყველაზე დიდი წილი მოდის გაყინულ ბოსტნეულზე და შეადგენს მთლიანობაში ექსპორტირებული გაყინული ხილისა და ბოსტნეულის 70 %-ს.
- ▶ ბელგია და პოლონეთი ლიდერობენ ევროპელი ექსპორტიორი ქვეყნების სიაში.
- ▶ გაყინული ხილისა და ბოსტნეულის ექსპორტი მაღალი კონცენტრაციით ხასიათდება. მხოლოდ ორ მსხვილ ქვეყანაზე (ბელგია და პოლონეთი) მოდის ევროპის ქვეყნებიდან ექსპორტირებული გაყინული ხილისა და ბოსტნეულის მთლიანი ოდენობის 62 %. ბელგია ლიდერობს გაყინული ბოსტნეულის, ხოლო პოლონეთი - გაყინული ხილის ექსპორტში.
- ▶ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ექსპორტის ღირებულების ზრდის ყველაზე მაღალი მაჩვენებლებით გამოირჩევა ხორვატია, ლიტვა, პოლონეთი. ამ ქვეყნებიდან განხორციელებული ექსპორტის ზრდა განაპირობა გაყინული ხილის წილის ზრდამ მთლიან ექსპორტირებულ პროდუქციაში.

ღიაგრამა 4: გაყინული ხილისა და ბოსტნეულის ექსპორტი ევროკავშირის ბაზრიდან ქვეყნების მიხედვით, წილი მთლიან ექსპორტში (2015)



წყარო: Eurostat

ამერიკის შეერთებული შტატები წარმოადგენს მთავარ ბაზარს ევროპის ქვეყნებიდან ექსპორტირებული გაყინული ხილისა და ბოსტნეულისთვის.

- ▶ ევროკავშირის ქვეყნებიდან გარე ექსპორტის მთავარი სამიზნე ბაზრები არიან ამერიკის შეერთებული შტატები (უმეტესად გაყინული ბოსტნეულის ექსპორტი), შვეიცარია (ძირითადად გაყინული ხილი), არაბთა გაერთიანებული ემირატები (ძირითადად გაყინული ბარდა) და ნორვეგია (გაყინული ხილი და მარწყვი).
- ▶ 2011 წელს, ევროკავშირის საზღვრებს მიღმა არსებულ მსხვილ საექსპორტო ბაზრებში ექსპორტირებული პროდუქტის ღირებულების ზრდით გამოირჩეოდნენ: არაბთა გაერთიანებული ემირატები (45%, უმეტესწილად გაყინული ბოსტნეული), ალჟირი (23%, უმეტესწილად გაყინული ბარდა) და ამერიკის შეერთებული შტატები (30%, უმეტესწილად ბოსტნეული).
- ▶ ევროპაში უმსხვილესი ქვეყანა, რომელიც ახორციელებს რე-ექსპორტს ნორვეგიაა. გაყინული ხილისა და ბოსტნეულის

ექსპორტიორი ჰოლანდიური კომპანიებისთვის ევროპის მთავარი სამიზნე ბაზრები არიან გერმანია, ბელგია და საფრანგეთი. უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში, ნორვეგიიდან ექსპორტის ზრდის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა უნგრეთში, რაც განპირობებული იყო ექსპორტირებულ პროდუქციამ გაყინული ტროპიკული ხილის წილის ზრდით.


წარმოება

შესაძლებლობები იმ პროდუქტების თვალსაზრისით, რომლებიც ფართოდ არ იწარმოება ევროპაში:

- ▶ 2010 წლიდან შეინიშნება გაყინული ხილისა და ბოსტნეულის წარმოების ეტაპობრივი ზრდა ევროპის ქვეყნებში
- ▶ ბელგია ევროპის ქვეყნებს შორის ლიდერობს გაყინული ბოსტნეულის წარმოებაში, ხოლო პოლონეთი - გაყინული ხილის უმსხვილესი მწარმოებელია. წარმოების მოცულობის მაჩვენებლები იცვლება კონკრეტული ქვეყნის კლიმატური პირობების მიხედვით.
- ▶ ამჟამად, ევროპის ქვეყნებში გაყინული ხილისა და ბოსტნეულის წარმოების სტრუქტურა ნაკლებად ცვალებადია. მოსალოდნელია, რომ ასეთი ვითარება შენარჩუნდება მომდევნო წლებშიც. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ განვითარებადი ქვეყნების ექსპორტიორებს მოუწევთ მაღალ კონკურენციასთან შეჯახება, თუკი ისინი მიზნად დაისახავენ კონტინენტური ტიპის ხილისა და ბოსტნეულის, როგორიცაა ბარდა, გარგარი ან ატამი, ექსპორტს. მეორე მხრივ, ჩნდება შესაძლებლობები ისეთი პროდუქტების ექსპორტირების კუთხით, რომლებიც ფართოდ და დიდი მასშტაბით არ იწარმოება ევროპაში, როგორიცაა მაგალითად გაყინული სოკო, ტკბილი წინაკა, არტიშოკი, სატაცური.
- ▶ ევროპაში, გაყინული ხილისა და ბოსტნეულის ბაზარზე მთავარი მოთამაშეები არიან: Greenyard Foods, Ardo Group, Bonduelle, Findus Sweden AB, Gelagri Bretagne SA, PinguinFoods, Unilever, და Vivartia S. A.

პროდუქციას, რომლებიც თანხვედრაშია გლობალური სოციალური შესაბამისობის პროგრამასთან (GSCP), ევროპული სუპერმარკეტების ქსელში შეღწევის უფრო მაღალი შანსი გააჩნია.

დიაგრამა 5: გაყინული ხილისა და ბოსტნეულის მთლიანი წარმოება ევროპაში, 2010-2014, მლნ ევრო



წყარო: Eurostat

შენიშვნა: დიაგრამა 5-ზე მოცემული მონაცემები ასახავს გადაამუშავებული პროდუქტის წარმოებას, რაც მოიცავს როგორც შუალედურ, ისე საბოლოო პროდუქტს. შესაბამისად, შესაძლოა არსებობდეს გარკვეული თანხვედრა წარმოების და იმპორტის მონაცემებში, რამდენადაც ნედლეული შესაძლოა იყოს იმპორტირებული და შემდგომ დამუშავებული.


მოხმარება

გაყინული ხილისა და ბოსტნეულის მოხმარება გაიზარდა მომდევნო წლებში.

- ▶ გაყინული ხილისა და ბოსტნეულის დადასტურებული მოხმარება მერყევი ხასიათისაა, თუმცა, ზოგადად, ავლენს ზრდის ტენდენციას. მზარდ მოხმარებას განაპირობებს მოხმარებელთა ასევე მზარდი სურვილი, შეიძინონ ისეთი საკვები, რომელიც სწრაფად მზადდება და უფრო მოსახერხებელია მოხმარებისთვის.

- ▶ ზოგიერთ მომხმარებელ ქვეყანაში ვლინდება მნიშვნელოვანი ზრდა გაყინული ხილისა და ბოსტნეულის მოხმარებაში. მაგალითად, Mintel-ის კვლევის თანახმად, საფრანგეთში, 2012-2014 წლებში 10%-ით გაიზარდა ახალი ტიპის გაყინული პროდუქტის წარმოება. ახალი ტიპის გაყინული საკვები შეიცავს მზა საკვებს, რომლის შემადგენლობაში მაღალი პროპორციით არის წარმოდგენილი გაყინული ხილი და ბოსტნეული. აღნიშნულ ინფორმაციას მიყვავართ შემდეგ მოსაზრებამდე - ფრანგი მოსახლეობის ნახევარი მიიჩნევს, რომ გაყინულ საკვებს აქვს ისეთივე კვებითი ღირებულებები, როგორც ახალ საკვებს. კიდევ ერთი მაგალითი ესპანეთზე, სადაც გაყინული ბოსტნეულის მწარმოებელთა ასოციაციის ინფორმაციით, ესპანური ოჯახების შესწავლაზე დაყრდნობით, გაყინული ბოსტნეულის მოხმარება სულ უფრო იზრდება და 1 მოსახლემ 3 კგ-ს მიაღწია.
- ▶ ევროპაში, გაყინული ხილისა და ბოსტნეულის ყველაზე დიდი მომხმარებლები არიან იტალია, გერმანია და საფრანგეთი. ეს ქვეყნები ერთად მოიხმარენ ევროპის ქვეყნებში ჯამურად მოხმარებული გაყინული ხილისა და ბოსტნეულის ნახევარზე მეტს.
- ▶ საგარეოდ, გაყინული ხილისა და ბოსტნეულის მოხმარება განაგრძობს ზრდას, განსაკუთრებით გაყინული კენკრის სეგმენტში.

დიაგრამა 6: ევროპის ქვეყნებში გაყინული ხილისა და ბოსტნეულის დადასტურებული მოხმარება, 2010-2014, მლნ.ევრო



რეკომენდაცია:

როდესაც განსაზღვრავთ სამიზნე ბაზარს თქვენი პროდუქციისთვის, გამოიწიეთ ორი სახის ბაზარი: ქვეყნები, რომლებიც ახდენენ გაყინული ხილისა და ბოსტნეულის იმპორტს შიდა მოხმარების მიზნით და ქვეყნები, რომლებიც ახდენენ იმპორტირებული პროდუქციის რე-ექსპორტს. პირველ შემთხვევაში, მეტი ყურადღება უნა მიექცეს საცალო ქსელის განვითარების სპეციფიკის და ადგილობრივი მოხმარების ტენდენციების გაცნობას.

იმ შემთხვევაში, თუ ორიენტირებული ხართ გაყინული ხილისა და ბოსტნეულის ექსპორტზე, კარგად შეისწავლეთ ჰოლანდიაში, ან მის სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში ექსპორტის შესაძლებლობები. ჰოლანდია სავაჭრო როლს ასრულებს ევროპის ქვეყნებში გაყინული ტროპიკული ხილის იმპორტში. შესაბამისად, თუ ამ ქვეყნის სავაჭრო პარტნიორების საშუალებით განახორციელებთ ექსპორტს, თქვენმა პროდუქციამ შესაძლოა ევროპის ყველა ქვეყნის ბაზარზე შეაღწიოს.

თანდენსიები, რომლების ავლენენ ევროპის ბაზარზე გაყინული ხილისა და ბოსტნეულის ექსპორტის შესაძლებლობას

3

მომხმარებელთა მზარდი ინტერესი ვეგანური, გლუტენისგან თავისუფალი და ნატურალური საკვების მიმართ ავლენს ექსპორტის ახალ შესაძლებლობებს განვითარებადი ქვეყნებისთვის.

სურსათის უვნებლობის დამადასტურებელი სერტიფიკატები, ლაბორატორიული შემოწმებების დასკვნები და კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის სტანდარტებთან შესაბამისობა ის დამატებითი უპირატესობებია, რითაც უნდა ისარგებლონ კომპანიებმა, ევროპის ბაზარზე ექსპორტის განხორციელებისთვის.

ასევე იკვეთება ახალი შესაძლებლობები შაქრის დაბალი შემცველობის მქონე პროდუქტების და „სუპერპროდუქტების“ (ჯანმრთელობისთვის სასარგებლო) თვალსაზრისით. ევროპის ბაზარზე სულ უფრო იზრდება მოთხოვნა შაქრის დაბალი შემცველობის მქონე პროდუქტზე. ეს ტენდენცია ხელსაყრელია გაყინული ბოსტნეულის სეგმენტისთვის, ვინაიდან ამ სეგმენტში შემავალი პროდუქტების უმეტესობა ხასიათდება შაქრის დაბალი კონცენტრაციით.

არსებობს სხვა ფაქტორებიც, რომლებიც განაპირობებენ მოთხოვნის ზრდას გაყინულ ხილსა და ბოსტნეულზე. ესენია:

- ▶ გაყინვის ინოვაციური ტექნოლოგიები
- ▶ შენახვის ტექნოლოგიების და სამაცივრე მეურნეობების განვითარება
- ▶ საცალო დისტრიბუციის განვითარება
- ▶ სოციალური ფაქტორები, როგორცა დაჩქარებულ ცხოვრების სტილი, დროის უქონლობა საკვების დასამზადებლად

მზარდი ტენდენცია აქვს „სუპერხილის“ (ჯანმრთელობისთვის განსაკუთრებით სასარგებლო) მოხმარებას. ზოგადად, ჯანმრთელობისთვის სასარგებლო ხილის სეგმენტში სხვა ხილთან შედარებით უფრო სწრაფად იზრდება გაყინული კენკრის მოხმარება. გაყინული კენკრის ბაზრის ზრდაზე მაღალი ზეგავლენა აქვს ოჯახურ პირობებში, ხილის წვენების და ხილის კოქტეილების მომზადების ზრდის ტენდენციას.

ალსანიშნავია გასულ წელს გამოვლენილი მზარდი მოთხოვნა გაყინულ კომბოსტოზე (Kale), რომელიც კომბოსტოს „ჩიფსის“ წარმოებაში გამოიყენება.

4 მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს გაყინული ხილი და ბოსტნეული იმისთვის, რომ დაშვებული იქნას ევროპის ბაზარზე

ზოგადი ინფორმაცია იმ მოთხოვნების შესახებ, რომლებსაც უყენებს ევროპელი მყიდველი დამუშავებული (გაყინული) ხილისა და ბოსტნეულის სექტორს, მოცემულია CBI-ს კვლევაში - ევროპის ბაზრის მოთხოვნები დამუშავებული ხილისა და ბოსტნეულის მიმართ. მომდევნო ნაწილში განხილულია ევროპის ბაზრის სპეციალური მოთხოვნები, რომლებიც მიესადაგება გაყინული ხილისა და ბოსტნეულის სექტორს.

სამართლებრივი მოთხოვნები

სურსათის უვნებლობა

2016 წლის იანვარში ევროკავშირმა გამოაქვეყნა ოთხი ცვლილება იმ რეგულაციებში, რომლებიც ეხება ნარჩენების მაქსიმალურ დასაშვებ დონეს ხილსა და ბოსტნეულში. ამ ცვლილებებით გაიზარდა მაქსიმალური დასაშვები დონე ორგანულ-ფოსფოროვანი პესტიციდების ჯგუფისთვის, როგორცაა ქლორპირიფოსი (chlorpyrifos), ფოსფიტელი (fosetyl) და სხვა პესტიციდებისთვის.

ეტიკეტირების მოთხოვნები

საცალო ქსელისთვის გამიზნული შეფუთვის შემთხვევაში, პროდუქტის ეტიკეტი შესაბამისობაში უნდა იყოს ევროკავშირის რეგლამენტთან - ინფორმაცია საკვები პროდუქტების შესახებ მომხმარებელთათვის. აღნიშნული რეგლამენტი მკაფიოდ განსაზღვრავს ეტიკეტირების მოთხოვნებს ეტიკეტზე განსათავსებელი ინფორმაციის შინაარსის (კვებითი ღირებულების, წარმოშობის ქვეყნის, ალერგენების შესახებ ინფორმაციის მითითება) და მკაფიოობის (შრიფტის მინიმალური ზომა, რომელიც უნდა იქნეს გამოყენებული სავალდებულო ინფორმაციის მისათითებლად) თვალსაზრისით. აღნიშნული რეგლამენტი ძალაში შევიდა 2014 წლის 13 დეკემბერს, თუმცა რეგლამენტის ის ნაწილი, რომელიც ეხება კვებითი ღირებულების შესახებ ინფორმაციის მითითების მოთხოვნას, ძალაში შევა 2016 წლის 13 დეკემბრიდან.

ალერგენები მითითებული უნდა იყოს ინგრედიენტების ჩამონათვალში (იხ. ნიმუში მე-6 სურათზე) ეტიკეტზე ალერგენების მითითების მოთხოვნა ასევე სავალდებულოა დაუფასოებელი პროდუქტისთვის, იმ პროდუქტის ჩათვლით, რომლებიც მოხმარება რესტორნების და კაფეების ქსელში.

შეფუთვის / დაფასობის მოთხოვნები

დაშვებულია სწრაფი ტექნოლოგიით გაყინული ხილისა და ბოსტნეულის მეორადი შეფუთვა კონტროლირებულ პირობებში. მეორადი შეფუთვა უნდა მოხდეს დროის მოკლე პერიოდში, 0-50 C ტემპერატურის პირობებში. მეორადი შეფუთვის შემდეგ პროდუქტი უნდა დაბრუნდეს სამაცივრე კამერაში, სადაც მუდმივი ტემპერატურა იქნება -180 C.

ზოგადი და სპეციალური მოთხოვნები

- ▶ გარემოს დაცვითი სისტემების, ორგანული პროდუქტის წარმოებისა და სამართლიანი ვაჭრობის დამადასტურებელი სასერტიფიკაციო სქემები სულ უფრო პოპულარული ხდება ევროპაში. ორგანული წარმოების მიმართ მოთხოვნები განსაზღვრულია IFOAM - ის (ორგანული სოფლის მეურნეობების მოძრაობის საერთაშორისო ფედერაცია) სტანდარტებით.
- ▶ ევროკავშირი არეგულირებს მოთხოვნებს როგორც ევროპაში წარმოებული და /ან გადამამზადებული ორგანული

საკვებისა და სასმელის, ისე იმპორტირებული ორგანული პროდუქტების მიმართ (ევროკომისიის რეგლამენტი (EC) N 1235/2008, დეტალურად განსაზღვრავს მესამე ქვეყნიდან ორგანული პროდუქტების იმპორტის წესებს).

ევროპის ბაზარზე ორგანული პროდუქტების ექსპორტი შეუფერხებლად განხორციელდება იმ ქვეყნიდან, სადაც ორგანული პროდუქტის წარმოების და კონტროლის წესები შეესაბამება ევროპულ სტანდარტებს. თუმცა, განვითარებადი ქვეყნების უმეტესობაში, არ არსებობს ასეთი ჰარმონიზაცია. გამონაკლისია არგენტინა, კოსტა რიკა და ტუნისი.

დანარჩენი არაევროპული ქვეყნიდან ორგანული პროდუქტის იმპორტის განსახორციელებლად იმპორტიორებმა უნდა უზრუნველყონ პროდუქტის სერტიფიცირება ისეთი დამოუკიდებელი, კერძო მასერტიფიცირებელი ორგანოს მიერ, რომელიც შესულია ევროკომისიის მიერ აღიარებული ორგანოების სიაში.

5 რა სახის კონკურენციაა ევროპის ბაზარზე გაყიდული ხილისა და ბოსტნეულის სავაჭრობისთვის ?

ინფორმაცია ევროპის ბაზარზე არსებული კონკურენციის შესახებ გაყიდული ხილისა და ბოსტნეულის სეგმენტისთვის იხილეთ CBI-ს კვლევაში კონკურენციის შესახებ.


6 რა არხებით არის შესაძლებელი გაყიდული ხილისა და ბოსტნეულის შეთანა ევროპის ბაზარზე ?

უპირატესობა ენიჭება ექსპორტის განხორციელებას ხილისა და ბოსტნეულის სეგმენტზე სპეციალიზირებული იმპორტიორების მეშვეობით.

ბევრი იმპორტიორი, რომელიც ჩართულია საცალო და საბითუმო ვაჭრობის ოპერაციებში, იმავდროულად ეწევა პროდუქციის შეფუთვას.

ზოგიერთ შემთხვევაში განვითარებადი ქვეყნების ექსპორტიორებს შეუძლიათ პირდაპირ განახორციელონ მიწოდება ევროპის ბაზრის სხვადასხვა სეგმენტში. ეს განსაკუთრებით ეხება ისეთ შემთხვევებს, როდესაც მყიდველი, იმპორტირებულ გაყიდულ ხილსა და ბოსტნეულს იყენებს როგორც ინგრედიენტს, საბოლოო პროდუქტის საწარმოებლად.

სურათი 7. ევროკავშირის ბაზარზე გაყიდული ხილისა და ბოსტნეულის შეთანის არხები, 2016



წყარო: ბაზრის მკვლევარის მოსაზრებები, რომლებიც ეყრდნობა გაყიდული ხილისა და ბოსტნეულის სეგმენტის შესწავლას

რეკომენდაცია:

ექსპორტირებისთვის შესაბამისი არხის შერჩევას მოახდინეთ პროდუქტის სტრატეგიული მისადაგება. შემფუთავი კომპანიებისთვის, ინდივიდუალური სწრაფი გაყინვის ტექნოლოგიით დამზადებული პროდუქტის შემთხვევაში, უფრო რელევანტურია პროდუქტის ფორმა, ფერი და გემო. თუ ექსპორტს ახდენთ გაყიდული ხილისა და ბოსტნეულის სეგმენტის სხვა არხების გამოყენებით, მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს პროდუქტის მისადაგებას მისი ქიმიური შემადგენლობის კუთხით.

გაყინული ხილისა და ბოსტნეულის სამომხარაგლო ფასები ევროპის ბაზარზე

ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომია ევროპის ქვეყნებში ექსპორტირებული გაყინული ხილისა და ბოსტნეულის საცალო ფასებზე, არ არის ზუსტი, რამდენადაც აღნიშნული სექტორი მოიცავს მრავალი დასახელების პროდუქტს. პროდუქტის ფასები განსხვავებულია თვით მწარმოებელ ქვეყნებშიც და იცვლება პროდუქტის სახეობის, ჯიშის და ხარისხის მიხედვით. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია ფასების მხოლოდ ძალიან მიახლოებული განზოგადება.

შიდილება ითქვას, რომ CIF ფასი (წარმოების ხარჯი, დაზღვევა და ფრახტი), საცალო ქსელში განთავსებული ხილისა და ბოსტნეულის დაფასოებულ ერთეულზე, შეადგენს საცალო ფასის დაახლოებით 25%-ს.

ფასების მონიტორინგის საუკეთესო საშუალებაა თქვენს მიერ დადგენილი ფასების შედარება მსხვილი კონკურენტების ფასებთან.

ქვედა ცხრილში წარმოდგენილია მიახლოებითი ფასები განსხვავებული კომერციული პირობების ჭრილში:

ცხრილი 2: გაყინული ხილისა და ბოსტნეულის ფასები განსხვავებული კომერციული პირობების ჭრილში:

ექსპორტის ოპერაციები		საშუალო წილი საცალო ფასში
გაყინული ხილისა და ბოსტნეულის წარმოება	ნედლეულის ფასი (ფერმერის ფასი)	5-20%
მოსავლის აღების შემდგომი დამუშავება, გადამუშავება და პროდუქტის ბითუმად (დაფასოების გარეშე) გაყიდვა	FOB ან FCA ფასი	20-30%
ტრანსპორტირება	CIF ფასი	35-50%
იმპორტი, იმპორტირებული პროდუქტის დამუშავება და გადამუშავება	საბითუმო ფასი (შეიცავს დღგ-ს)	60%
საცალო შეფუთვა, შეფუთვის შემდგომი ოპერაციები და გაყიდვა	საცალო ფასი (საშუალოდ 250 გრ. შეფუთულ ერთეულზე)	100%

აღსანიშნავია, რომ საცალო ფასში ნედლეულის/ფერმერის ფასის წილი განსხვავდება მწარმოებელი ქვეყნის კატეგორიისა და თვით პროდუქტის სახეობის მიხედვით. მაგალითად, კენკრის შემთხვევაში, ფერმერის ფასის წილი საცალო ფასში გაცილებით მაღალია ბოსტნეულის უმეტეს სახეობასთან შედარებით.